საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტ"-ის მინდობილი პირის

ბ-ნი ვლადიმერ ცქვიტარიას
ელ.ფოსტა. giogulua0602@gmail.com
ტ. 595 78-58-38.

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტ" (რეგისტრირებული: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზედაზენის ქ., №2, კორპ. 1, სართული 1, კომერციული ფართი N 2), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდაში, ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტირიის მიმდებარედ, (GPS კოორდინატში X=469402.00; Y=4732282.00), რომელშიც გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 25970 მ³ ოდენობით (20075 ტ/წელ), საიდანაც 15970 მ³ (12775 ტ/წელ) დიზელის საწვავი და 10000 მ³ (7300 ტ/წელ) ბენზინის საწვავი..

აღნიშნულლ ავტოგასამართ სადგურში თხევადი საწვავის მიღება-გაცემისათვის იგეგმება მიწის ქვემოთ განთავსებული ქარხნული წარმოების 50 მ³ მოცულობის სამი ცალი ცისტერნის ჩადგმა, რომლებიდანაც ორი ცალი, თითეული გაყოფილი იქნება ორ ნაწილად: 20 მ³ და 30 მ³ მოცულობებად. სამი ცალი, თითეული 20 მ³ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით

ვლადიმერ ცქვიტარია
მინდობილი პირი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7612
"22" 05 2020
3/1ᲪᲔᲜ.
02

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;